მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲔᲚᲣᲚᲘ
№9 (420)
(5776)
2016

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

2 ოქტომბერს იწყება ებრაული ახალი წელი — როშ ჰა შანა. გილოცავთ, მრავალს დასწრებოდეთ!

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

როშ ჰაშანა

„თუ დღეს ისევე ცხოვრობ, როგორც გუშინ — მკვდარი ხარ!“

ავიმელეხ როზენბლატი

დროის ენერგია ციკლური ფაზების გავლისას, თავის უმაღლეს მაჩვენებლებს განსაზღვრულ, ამისათვის ყველაზე შესაფერის პერიოდებში აღწევს. კერძოდ, ის ელემენტი, რომელიც სულიერ ამაღლებას და „საწყისი წერტილის“ გამოცოცხლებას უწყობს ხელს, მაქსიმალურად იზრდება როშ ჰაშანაში – ახალ წელს. ვისაც სურვილი აქვს აამაღლოს და გააძლიეროს საკუთარი განახლების ნიჭი, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს სულიერების მომძლავრება როშ ჰაშანაში.

მოდით, უფრო ღრმად განვიხილოთ როშ ჰაშანის იდეა, შევეცადოთ ვიპოვოთ ის ენერგეტიკული წყაროები, რომლებიც როშ ჰაშანაში გამოვლინდებიან, რაც დაგვეხმარება გამოვიყენოთ იგი მაქსიმალურად. ძლიერი შთაგონების მეშვეობით ამ პერიოდის პირველ ფაზაში, ძალებისა და მდგრადობის უდიდესი მარაგის გასაღებს მოვიპოვებთ, რაც დაგვეხმარება მეორე ფაზაში, როდესაც შთაგონება ციკლურად იკლებს.

როშ ჰაშანა წლის დასაწყისია. ის სულიერი ძალები, რომელნიც თან ახლავს საწყის მომენტებს, ნამდვილად უნიკალურია. „ჰაქოლ ჰოლეხ ახარ ჰაროშ“ – ყველაფერი მიყვება დასაწყისს“. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი პროცესის მსვლელობა მისი დასაწყისით განისაზღვრება. ეს აიხსნება იმით, რომ დასაწყისი ჩასახვას ჰგავს, რომლის დროსაც მომავალი ორგანიზმი გენებს იძენს. გენები კი ბაზაა შემდგომში სხეულში განვითარებული პროცესებისა. სულიერი წესების მიხედვით, რაც უფრო ახლოს ვართ ჩასახვის მომენტთან, მით უფრო მეტია ფარული ძალების პოტენციალი, და მით უფრო სერიოზულია ნებისმიერი შემდგომი ქმედება. ზრდასრული ადამიანის ორგანიზმისთვის მიყენებული მცირე ზიანი შეიძლება მასზე არანაირად არ აისახოს. მუცლადყოფნის დროს კი ჩანასახი გაცილებით უფრო მგრძნობიარეა ნებისიერი გამაღიზიანებლის მიმართ. გენურ სტრუქტურაში უმცირესი ცვლილებები შეიძლება ისეთ შედეგებამდე მივიდეს, რომელთა წარმოდგენაც კი შეუძლებელია საწყის მომენტში.

ჩასახვისას მკაცრად ხდება ორგანიზმის თვისებების კოდირება. ნათელია, რომ საუბარია ძალზე მნიშვნელოვან, საბედისწერო მომენტზე. არც ერთ შემდგომ მომენტს არ ექნება ასეთი ძალა, ენერგია და მნიშვნელობა, როგორიც აქვს საწყის მომენტს. ჩასახვის ნაპერწკალი ყველაფერს შეიცავს. შემდგომი განვითარება გამოავლენს მხოლოდ იმ ელემენტებს, რომელნიც შეიქმნენ საწყისი გაელვების მომენტში.

როშ ჰაშანა არის წლის ჩანასახი, მისი შემდგომი ათი დღე კი – ფეხმძიმობის პერიოდი. ამიტომაცაა ეს დღეები ასეთი მნიშვნელოვანი მთელი წლისათვის. წარსდგება რა გამ-ნის წინაშე, ადამიანი გასამართლდება მთელი წლისათვის. მისი პიროვნება კრისტალდება, დასრულებულ ფორმას იღებს სწორედ ამ მომენტში; შემდეგში მისი შეცვლა ძალზე რთულია. გაცილებით ადვილია ცვლილებების როშ ჰაშანაში შეტანა – უფრო ადვილია ჩვენი თვისებების „გენებით“ მანიპულირება. დიდი სულიერი ცოდნის მქონე ადამიანები ძალიან ცდილობენ როშ ჰაშანის ორი დღის მანძილზე იცხოვრონ და მოიქცნენ უმაღლესი სტანდარტების მიხედვით, რადგანაც ამ დროს წლის ჩასახვა ხდება. ტრადიციულად ბევრს არ ძინავს დღის პირველ ნახევარში მაინც. დამდეგი წლის გენების მიღება საღად აზროვნებისას სურთ და არა - ქვეცნობიერად.

სადაა ამ განსაკუთრებული ენერგიის წყარო? ისტორიაში პირველი როშ ჰაშანის დღეს, რომელშიც ყველაზე ნათლად გამოიხატა მისი არსი, ადამიანი შეიქმნა. ის დღე იყო პირველი და მისი უმთავრესი მოვლენა ისტორიის სცენაზე ადამიანის გამოჩენა გახდა. ამიტომაც აქვს ამ დღეს ყოველთვის ადამიანის განახლების პოტენციური საშუალება. როდესაც ჩვენ მტკიცედ და გულწრფელად გადავწყვეტთ როშ ჰაშანაში ავმაღლდეთ, სულიერი და მნიშვნელოვანი ცხოვრებისათვის მოვამზადოთ საკუთარი თავი, მაშინ ვიწყებთ ადამიანის შექმნის დღისაგან ფარული ენერგიის მიღებას. ამ დღეს აქვს იმის უნარი, რომ მოგვახდენინოს რეალური ცვლილებები საკუთარ თავში, გვეხმარება გარდაქმნაში, სხვა ადამიანად ქცევაში.

ტრადიცია ამტკიცებს, რომ ადამი შეიქმნა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ტაძარში სამსხვერპლო იდგა. „ადამ მიმაკომ ქაფაროთო ნივრა“ – ადამი შეიქმნა თავის გამოსყიდვის ადგილზე“. მისი სიცოცხლის პირველი მომენტი მატერიალიზებული იქნა სამყაროს ყველა ადგილიდან აღებული მიწიდან, რომელთა კონცენტრაციაც იმ ერთ წერტილში მოხდა, სადაც გაცილებით გვიან ხალხმა მსხვერპთშეწირვა დაიწყო, ანუ ისეთი ქმედება, რომელიც ყველაზე ღრმად და უკეთესად გამოისყიდის ჩვენს ცოდვებს, გვაახლოვებს რა ამით გამ-ნთან. ამიტომ ადამიანის შექმნის მომენტი განახლებისათვის ყველაზე კონცენტრირებული აღმოჩნდა. მასში ცოდვიდან მის გამოსყიდვამდე, გამოსწორებამდე ყველაზე ღრმა ცვლილებების მოხდენის თვისებები ჩაიდო. ასეთი ნახტომი ჭეშმარიტად ახლის შექმნას ჰგავს. აი, რატომაა ჩადებული როშ ჰაშანაში გაუგონრად მძლავრი ძალა, რომელიც განახლებისაკენ გვიბიძგებს. აქედან მოდის ამ ორი დღის განმავლობაში ძილის მაქსიმალურად შეზღუდვის მისტიური ტრადიცია.

ამ დღეების მსახურება (სინამდვილეში ისინი ერთ დღედ აღიქმება) ნათლად გამოსახავს ამ სულიერ მუხტს, ჩვენს შინაგან ლტოლვას ჩავწვდეთ სულიერის ფესვებს. როშ ჰაშანის ლიტურგია სამ ნაწილად იყოფა: მალხუთ (სამეფო), „ზიხრონოთ“ (ხსოვნა) და „შოფროთ“ (შოფარის დაკვრა).

მალხუთ ასახავს ადამიანის ლტოლვას ქმნილებათა საფუძვლის განახლებისაკენ და უმაღლესი მსახურებისაკენ, რათა გამ-ნის ძალაუფლება გახდეს აბსოლტური და უდავო. სანამ თავზე ავიღებთ კონკრეტული მიცვების შესრულებას, უნდა ვაღიაროთ გამ-ნის მეფობა. მოდით! განვმარტოთ ის მაშალის (იგავის) მეშვეობით: ერთ უდიდეს მეფეს სთხოვეს ქვეყნისათვის კანონები დაედგინა. მეფე დათანხმა, მაგრამ თავისი პირობის შესრულება ითხოვა. ჯერ ხალხმა უნდა აღიაროს მეფის ძალაუფლება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება მათთვის მეფის მიერ დადგენილი კანონი სავალდებულო და გააზრებული. ქმნის საფუძველი – გამ-ნის მეფობაა. ისაა ყოველგვარი სულიერი ზრდის წყარო. როშ ჰაშანის საფუძველი სწორედ ესაა. ლოცვისას ის მოითხოვს ჩვენს ყველაზე სანუკვარ სურვილებში (რაცონ) ჩაღრმავებას. მისი მიზანია ცნობიერების სირმეებში შეღწევა და გამ-ნის სრული და განუყოფელი ძალაუფლების მიღების სურვილის გაღვივება.

მეხსიერებას („ზიხრონოთ“) შემოაქვს ჭეშმარიტად სულიერი და ღრმა ხსოვნის იდეა: გვახსოვდეს სამყაროს პირველწყარო, ებრაელი ხალხის შექმნა და მისი ბედი. მეხსიერების დაძაბვა იმისათვის, რომ სამყაროს ქმნადობა ხელახლა შევიგრძნოთ, როშ ჰაშანის სულისკვეთებას სავსებით შეესაბამება.

შოფროთ (შოფარის დაკვრა) გულის სიღრმეში შეღწევის, სულისა და პიროვნების ფესვებისაკენ ლტოლვის სურვილია. შოფარის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ მას მხოლოდ ხმა აქვს, სიტყვებს კი არ წარმოსთვამს. კაბალისტები გვიხსნიან, რომ ხმა საუბრის ფესვია და იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე სიტყვების ჯაჭვი. სიტყვებმა შეიძლება ინფორმაცია შეგვატყობინონ, მაგრამ ხმა ადამიანზე შეხედულებას გვიქმნის. ამიტომაცაა, რომ წინასწარმეტყველებას ხშირად „ხმას“ უწოდებენ და არა სიტყვებს. როდესაც გამ-ნმა ავრაჰამს უბრძანა სარასთვის დაეჯერებინა, უთხრა მას: „შმა ბეკოლა“ – დაემორჩილე მის ხმას“.

გამ-ნი წინასწარმეტყველს უბრძანებს: „კრა ბეგარონ, ალ თახთოხ“ – „იყვირე ყელიდან, არ გაჩუმდე.“ რადგანაც წინასწარმეტყველება გამოდის არა ბაგეებით, არა პირიდან, სადაც სიტყვები ფორმულირდება, არამედ – ყელიდან, ნედლი, დაუმუშავებელი ბგერის წყაროდან. შოფარის დაკვრამდე წარმოვსთქვამთ კურთხევას: „...ლიშმოა კოლ შოფარ“ - შოფარის ხმის მოსმენაზე. შოფარი მარტივ ბგერას გამოსცემს, უბრალოდ ტირილს, ყოველგვარი მოდულაციების გარეშე; ამიტომ მას აქვს სულის გახსნის უნარი. სამყაროში არანაირ სიტყვას არ შეუძლია გამოხატოს ბავშვის გრძნობები, რომელიც ღამით ტირის - დედას ეძახის. შოფარი სწორედ ასეთ ბავშვურ შეძახილს გამოხატავს.

როშ ჰაშანის სწორად დაცვით ჩვენ მაქსიმალურ ენერგეტიკულ მუხტს ვიძენთ. ამ დღეს მიღებული ენერგია მთელი წლის მანძილზე უნდა გაგვყვეს იმისათვის, რომ ის განვვლოთ უმაღლესი სტანდარტებით – არა ჩვეულებრივ, ინერციით, არამედ სიახლის მუდმივი შეგრძნებით. ნაპერწკლიდან ალი აინთება; ამ ალმა ახალი ცეცხლი უნდა დაანთოს – და ასე უნდა იყოს მუდამ. ასეთია ებრაული ცხოვრების წესი. ცნობილი კაბალისტური ფორმულა გვეუბნება: „თუ დღეს ისევე ცხოვრობ, როგორც გუშინ - მკვდარი ხარ“. იყო ცოცხალი, ნიშნავს მოახდინო შენი ცხოვრების გენერირება დღეს, მოცემულ მომენტში არა როგორც წარსულის პასიური შედეგი, არამედ ახალი ყოფის გადმოფრქვევა ახლა და ყოველთვის.

ებრაულ ფუძეს „ანი“ – მე, ორი წარმოებული აქვს – „ანა“ და „ეინ“. სიტყვა „ეინ“ უარყოფას გამოხატავს, ხოლო „ანა“ გაცილებით რთული სათარგმნი სიტყვაა: ის გამოუთქმელ თხოვნას ან, ლტოლვას გამოხატავს. მაგალითად „ანა ჰაშემ ჰოშია ნა“ გამოხატავს გადარჩენისაკენ გაწევას, მსვლელობას. ამ სიტყვებს სხვა მნიშვნელობაც აქვთ: „ეინ“ – საიდან? და „ანა“ – სად? კითხვა საიდან მოხვედი ებრაულად ასე ჟღერს: „მეაინ ბათა“, ხოლო სად მიდიხარ? – ანა (ან „ლეან“) თელეხ? თუ ამ გამოთქმების პირდაპირ მნიშვნელობებს ყურადღებას არ მივაქცევთ, ჩვენს წინაშე გადაიშლება საოცრად ღრმა აზრი: „მეაინ ბათა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „შენ არაფრიდან მოხვედი“. ხოლო „ანა თელეხ“ ნიშნავს, რომ „შენ მიდიხარ უსაზღვროდ დიდ განზომილებაში“.

ივრითი სიწმინდის ენაა და ამოუწურავად ღრმა სულიერების მატარებელი. უბრალო, ყოველდღიური შეტყობინება ადამიანისთვის, რომელიც სხვა ადგილიდან მოდის, სასაუბრო ენით გამოხატულია როგორც მისი გადასვლა არაფრიდან მოცემულ მდგომარეობაში („იეშ მეაინ“ – რაღაც არაფრიდან). ანუ, სულიერი გაგებით, ეს მომენტი წინა მომენტთან დაკავშირებულია ისევე, როგორც არსებობა არარაობასთან, არაფერთან. სწორედ ესაა განახლება! გადასვლა მოცემული მომენტიდან შემდეგზე ისეთი მძლავრი აფეთქებითაა გამოხატული, რომ შეუძლებელია მისი ახსნა. ასეთია სულიერების აღქმის მქონე ადამიანის სწრაფვა – მას აქვს სურვილი საკუთარ თავში მუდმივად გამოიმუშავოს შინაგანი სიცოხლე.

ავრაჰამ აბინუ საკუთარ თავზე ამბობდა: „“ვაანოხი აფარ ვაეფერ“ – მე მტვერი და ფერფლი ვარ. თორა არაა პოეტური ნაწარმოები, ლიტერატურული ძეგლი. მასში ყოველ ნიუანსს უსაზღვროდ ღრმა აზრი აქვს. რას ნიშნავს „მტვერი“ და „ფერფლი“? იდეა ასეთია: ფერფლი უბრალო ნაწილაკებია, რომლებიც წარმოიქმნებიან რაიმე სუბსტანციის სრული დაწვის შედეგად. „მიწის მტვერს“ კი უწოდებენ ნაყოფიერ ნიადაგს, სადაც ხდება ზრდა. ავრაჰამი თავის თავში ყველაზე ნათლად გამოხატავდა სიახლის, მამობის იდეას. ის ებრაელი ხალხის დიდი მამა იყო. მან ჩაუყარა საფუძველი სრულიად ახალი ცხოვრების წესს. მუდმივად იწვოდა, იფერფლებოდა იმისათვის, რომ დარჩენილი ნაწილაკები ახალი ზრდის ნიადაგად გამოეყენებინა. მისი განვითარების არც ერთი ნაწილაკი არ რჩებოდა პასიურ მდგომარეობაში. არც ერთი მათგანი დღეს არ იყო მოცემულ ადგილას მარტო იმის გამო, რომ ის გუშინაც იქ იყო. ის მთელი არსებით გარდაისახა მეხსიერებად, რომელის ახლად დაბადების ბირთვი გახდა თაობათა უწყვეტ ჯაჭვში. ამაშია „ხიდუშის“ - განახლების ძალა, საკუთარ თავში სიახლის, სულიერი ცხოვრებისა და ზრდის წყაროს წარმომქმნელი.

ებრაელთა სახელმწიფოს და ებრაული თემების უშიშროებისათვის

2016წ. 11-12 სექტემბერი, იერუსალიმი

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის (მეკ-ი) აღმასრულებელი კომიტეტი აერთიანებს მეკ-ის პრეზიდენტს, თავმჯდომარეს, ხაზინადარს და ვიცე-პრეზიდენტებს. ამჯერად აღმასრულებელი კომიტეტის შეკრება სასტუმრო „კინგ დევიდში“ ორ დღეს მიმდინარეობდა, მაგრამ ვიდრე პლენალური სხდომები დაიწყებოდა, მუშაობდა მეკ-ის სხვადასხვა სექცია: საკანონმდებლო, სარეზოლუციო, საფინანსო — საბიუჯეტო და სხვ.

პლენარული სხდომა კი შესავალი სიტყვით გახსნა მეკ-ის თავმჯდომარემ დევიდ როტშილდმა (საფრანგეთი).

აღმასრულებელი კომიტეტის წინა სხდომის (15-17 მარტი, 2016 წ, ბუენოს — აირესი) შემდეგ განვლილ პერიოდში კონგრესის ხელმძღვანელობის მიერ გაწეულ მუშაობაზე ისაუბრა მეკ-ის პრეზიდენტმა, რონალდ ლაუდერმა. ღონისძიებათა ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია, გამოვყოფთ ბ-ნი ლაუდერის გამოსვლის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს: პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა ქვეყანაში ანტისემიტური ორგანიზაციების გააქტიურებაზე. ამ ჭრილში გამოჰყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აკრძალული ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერტორისტულ ქმედებები, მიუხედავად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ ჩატარებული სამხედრო აქციებისა, „ისლამური სახელმწიფო“ მაინც ძლიერია და ცდილობს გააფართოოს ანტისემიტური ქმედებები. ამ და სხვა ანტიებრაული ტენდენციის აღსაკვეთად მსოფლიოს ებრაული კონგრესის ლიდერები ხვდებიან სახელმწიფოთა მეთაურებს, რათა დაიცვან ნ ებრაელობის ინტერესები. ამ თვალსაზრისით უწინარესი ებრაელთა თემების უსაფრთხოება გახლავთ.

ბ-მა რონალდ ლაუდერმა თბილად ისაუბრა კონგრესის დელეგაციის(რ. ლაუდერი, ი.კანერი, ი.მაინლი, მ.მირილაშვილი) და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის შეხვედრაზე. აღნიშნა, რომ დღეს რუსეთის ებრაული თემი ერთობ ჰარმონიულ ცხოვრებას ეწევა, დაცულია მისი ყველა უფლება, მნიშვნელოვნად იკლო ანტისემიტურმა აქციებმა. მრავალი ებრაული ორგანიზაცია წარმატებით მუშაობს.

მეკ-ის პრეზიდენტმა კრიტიკულად განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართება ისრაელის სახელმწიფოსთან. აღმასკომის წევრებმა ღიმილით მიიღეს ის ცნობა, რომელსაც გაერო ავრცელებს: თანამედროვე მსოფლიოში ქალებს ყველაზე ცუდად ისრაელში ექცევიანო.

ბ-მა ლაუდერმა ვრცლად ისაუბრა რომის პაპთან შეხვედრის თაობაზე და აღნიშნა, რომ ვატიკანში დიდძალი ებრაული ფასეულობაა შემონახული, რომელიც მასიურად არ არის ცნობილი. კონგრესი იღწვის იმისათვის, რომ ამ ფასეულობებს გაეცნოს ფართო საზოგადოებრიობა, იმუშაონ ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა და ა.შ.

მეკ-ის ხაზინადარის — ჩელა საფრას მოხსენება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობას შეეხებოდა. მან დაწვრილებით მიმოიხილა კონგრესის ფინანსების ხარჯვისა და ბიუჯეტის შედგენის პრიორიტეტები, აღნიშნა, რომ წინა სხდომიდან განვლილ პერიოდში (მარტი-სექტემბერი)კონგრესის გასავალი შეადგენდა ერთი მილიონ 600 ათას დოლარს და ამ სფეროში სრული წესრიგი სუფევსო.

აღმასკომმა დამაკმაყოფილებლად შეაფასა საფინანსო სფეროს მუშაობა. ამის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ისრაელის პრემიერ -მინისტრის კანცელარიაში გადაინაცვლეს. აქ „არიელის“ პატარა დარბაზში გაიმართა პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუსა და აღმასკომის წევრების შეხვედრა.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ აღმასკომის წევრებს წარმოუდგინა სრული სურათი თანამედროვე ისრაელის მდგომარეობისა: დღევანდელი ვითარება არაფრით არ გამოირჩევა წინა წლებისაგან— ისრაელს კვლავაც რთულ, აგრესიულ გარემოში უწევს ცხოვრება. დადარაჯებული მტერი კვლავაც ისევე დაეძებს ხელსაყრელ მომენტს, რომ ისრაელს დიდი ზიანი მიაყენოს. ამდენად პრიორიტეტულად რჩება სახელმწიფოს სამხედრო მზადყოფნა, რათა მტერმა ვერ აღმართოს ხელი ებრაელთა სახელმწიფოზე.

— მართალია, სახელმწიფოს სამხედრო ხარჯები მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო დღეს ისე ძლიერია, როგორც არასდროს— აცხადებს ბინიამინ ნეთანიაჰუ— მთავარი მაინც არის ის, რომ მაღალ დონეზეა სახელმწიფოს უსაფრთხოება. ჩვენი სამხედრო ძლიერების მთავარი წყარო ის ტექნოლოგიური ინოვაციები გახლავთ, რომელიც მსოფლიო მასშტაბით იქცევს ყურადღებას და დღითიდღე იხვეწება, ვითარდება.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ ისრაელის სამხედრო ტექნოლოგია ჩინეთის ბაზრისთვისაც კი გახდა საინტერესო— ძლიერდება ისრაელისა და ჩინეთის ურთიერთობა. ბინიამინ ნეთანიაჰუმ შეხვედრაზე ისაუბრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრებზე და ისრაელ-რუსეთის ურთიერთობა ერთობ პოზიტიურად შეაფასა.

— ჩვენ გვეუბნებიან, რომ რუსეთთან დაახლოებით, დავკარგეთ ამერიკის შეერთებული შტატები. არ არის ასე: დიახ, რუსეთთან ურთიერთობა გავაუმჯობესეთ, მაგრამ ამერიკა კვლავ რჩება ჩვენს მთავარ პარტნიორად— აცხადებს ისრაელის პრემიერ-მინისტრი (მისი ეს მოსაზრება შეხვედრიდან სამ-ოთხ დღეში დადასტურდა: გამოქვეყნდა ამერიკა-ისრაელის მოლაპარაკების შედეგები: თუ აქამდე აშშ ისრაელს წელიწადში 3.1 მილიარდი დოლარის სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა, მომავალში ეს ციფრი ასე გამოიყურება: აშშ ისრაელს ყოველწლიურად 3.8 მილიარდი დოლარის სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს)

ბინიამინ ნეთანიაჰუმ შეკითხვაზე მართლა აპირებს თუ არა მოსკოვის ეგიდით შეხვდეს პალესტინის ლიდერს, რაზეც დღეს აქტიურად წერს მსოფლიო პრესა,უპასუხა:

— მე ყოველთვის მზად ვარ შევხვდე და სამშვიდობო მოლაპარაკება მქონდეს პალესტინის ლიდერთან და როდესაც მოსკოვში მკითხეს, ვარ თუ არა მზად აბუ მაზენთან შესახვედრად, ვუპასუხე: მზად ვარ შევხვდე და სამშვიდობო პროცესი წავწიო წინ, თუ წამოყენებული არ იქნება რაიმე წინასწარი პირობა. აზრი არ შემიცვლია.

ბ.ნეთანიაჰუმ ისაუბრა დიასპორის ებრაელობასთან ურთიერთობის საკითხებზე და ხაზი გაუსვა იმას, თუ რაოდენ არის დაინტერესებული ისრაელი დიასპორის ებრაელობის უსაფრთხოებითა და კეთილდღეობით, განსაკუთრებით დღეს — მზარდი ანტისემიტიზმისა და ტერორისტული აქტების გახშირების პირობებში. თუმცა, აქვე შეახსენა უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელობას,რომ მათი სახლი ისრაელია.

აღმასკომის წევრებმა — მეკ-ის ვიცე პრეზიდენტებმა პრემიერ-მინისტრს დაუსვეს შეკითხვები, ისაუბრეს მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა, როგორც ისრაელის ყოფას, ასევე დიასპორას.

მწერალმა გურამ ბათიაშვილმა ისაუბრა იმ საკითხზე, რომელიც მან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ წამოჭრა გაზეთ „მენორას“ ფურცლებზე — ეს გახლავთ ისრაელის სახელმწიფოებრიობის განსაზღვრის საკითხი. მან თქვა:

— დღეს ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების თარიღად ითვლება 1948 წლის 14 მაისი და აქედან გამომდინარე, ამასწინათ ვიზეიმეთ ისრაელის სახელმწიფოდ გამოცხადების 68-ე წლისთავს.

ასე მგონია, რომ ეს არ უნდა იყოს სწორი შეფასება ისრაელის სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი ეტაპებისა: 1948 წელს სიონიზმმა ისრაელის სახელმწიფო კი არ შექმნა, ღვთის ნებითა და სიონიზმის მოღვაწეთა დიდი, უზარმაზარი ძალისხმევით, აღდგენილი იქნა საუკუნეების წინათ იავარქმნილი ისრაელის სახელმწიფოებრიობა. ისრაელი არ არის 68 წლის სახელმწიფო. ისრაელის სახელმწიფოებრიობა 3000 წელზე მეტს ითვლის. შესაძლოა, გამიწიონ ოპონირება, რომ ჯერ ასირია, შემდეგ ბაბილონი, ბოლოს კი — რომის იმპერია ისრაელის სახელმწიფოებრიობას კი არ ებრძოდა და ანადგურებდა, ის სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყოო. დიახ, იყო იუდეის სამეფო, იყო ისრაელის სამეფო და ორივე გახლდათ ებრაელი ხალხის სახელმწიფო, რომელიც შემდეგ გაერთიანდა. მთავარი კი ის არის, რომ ეს იყო ებრაელი ხალხის სახელმწიფო, რომელიც სამწუხაროდ, მიხდება გამეორება: მიწასთან გაასწორეს, გააცამტვერეს, იავარყვეს. დღევანდელი სახელმწიფო ისრაელი კი სამართალმემკვიდრეა და გამგრძელებელი ადრინდელი ებრაელი ხალხის სამეფოებისა, ისევე, როგორც ჩვენ ვართ მემკვიდრენი ჩვენი წინაპრებისა და გვეკუთვნის ადრეულ საუკუნეებში ებრაელი ხალხის მიერ შექმნილი უზარმაზარი კლასიკური მემკვიდრეობა.

ისტორია ყველამ როდი იცის: როცა ვამბობთ, ისრაელის სახელმწიფო 68 წლისააო, ებრაელი ერის, ისრაელის სახელმწიფოს არაკეთილმოსურნეთ—მტრებს შეცდომების კორიანტელში ვხვევთ—ჰგონიათ, რომ ებრაელები ამ მიწაზე 68 წლის წინათ მოვიდნენ, დაიკავეს მიწა, რომელზეც თავად ცხოვრობდნენ, მაშინ როდესაც მართალია, ებრაელები სხვასხვა საუკუნეების დამპყრობლებმა სამშობლოდან აჰყარეს, მაგრამ ამ მიწაზე ერის გარკვეული ნაწილი ყოველთვის ცხოვრობდა. ებრაელთა სამშობლოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული დამპყრობელი ეუფლებოდა, ებრაელობა კი სამშობლოში ცხოვრებას განაგრძობდა. აქე-

(დასასრული მე-5 გვერდზე)

„გაეროში ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს მოვუწოდებ დაყარონ იარაღი. გაეროში ისრაელის წინააღმდეგ ომი დამთავრებულია!“

პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს გამოსვლა გაეროში

22 სექტემბერს, საღამო ხანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ გამოვიდა. მან თავის გამოსვლაში მკაცრად გააკრიტიკა გაერო „ისრაელის მიმართ აღმაშფოთებლად დაუბალანსებელი პოლიტიკის გამო“ ნეთანიაჰუმ თქვა, რომ „მთელ რეგიონში ეწევიან ქალებზე ძალადობას და ხოცავენ ადამიანებს, გაერო კი ჩვენზე ახდენს ფოკუსირებას. გაერომ თავისი გზა დაიწყო, როგორც მორალურმა ძალამ და გადაიქცა მორალურ და ეთიკურ ფარსად“. პრემიერ-მინისტრმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ იუნესკო ადგას წმინდა ადგილებზე, განსაკუთრებით კი ტაძრის მთაზე, ისრაელის კანონიერი უფლებების უარყოფის საშიშ გზას.

ბ.ნეთანიაჰუმ სხდომის მონაწილეებს უამბო ისრაელის წარმატებებზე მეცნიერების, ეკონომიკის და სხვა სფეროებში, ხაზი გაუსვა იმას, რომ ბოლო ხანს რეგიონის უფროდაუფრო მეტი სახელმწიფო აღიარებს: ისრაელი არა მტერი, არამედ მოკავშირეა ტერორთან და ირანიდან მომდინარე საფრთხესთან ბრძოლაში.

— გაეროში ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს მოვუწოდებ დაყარონ იარაღი. გაეროში ისრაელის წინააღმდეგ გამართული ომი დამთავრებულია! — განაცხადა ბ. ნეთანიაჰუმ და გაეროს წევრ ქვეყნებს მოუწოდა „ყურადღება გაამახვილონ შიმშილისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაზე და განთავისუფლდნენ ისრაელთან ბძოლის სენისაგან“.

ბ. ნეთანიაჰუმ ისაუბრა აშშ-სა და ისრაელის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე, სხდომის მონაწილეებს შეახსენა, რომ აშშ იყენებს ვეტოს უფლებას იმისათვის, რომ წინ აღუდგეს ანტიისრაელურ ინიციატივებს. მან ისრაელისადმი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ბარაქ ობამას.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პალესტინის ავტონომიაში ახალი თაობის ისრაელისადმი სიძულვილის, მტრობის, ტერორისტებისადმი თანადგომის სულისკვეთებით აღზრდას. მსმენელებს უამბო, პალესტინაში თუ როგორი პატივისცემით არიან გარემოსილნი, რაოდენი პრივილეგიებით სარგებლობენ ტერორისტები.

პრემიერ-მინისტრმა გაიმეორა ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სჯერა მშვიდობის დამყარებისა პრინციპით „ორი ერი — ორი სახელმწიფო“ და მაჰმუდ აბასს მოუწოდა დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას.

ნეთანიაჰუმ ილაპარაკა იმ საშიშროებაზე, რომელსაც ფუნდამენტალისტი ტერორისტული ორგანიზაციები უქმნიან რეგიონს. პრემიერ-მინისტრის აზრით, მათ შორისაა „ხამასი.“ გაიხსენა რომ „ხამასი“ოჯახს კვლავაც არ აძლევს დაღუპულ ჯარისკაცთა გვამებს. პრემიერ-მინისტრის გამოსვლისას ერთ-ერთი დაღუპული ჯარისკაცის — ადარ გოლდის — მშობლები გაეროს დარბაზში იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა განაცხადა:

— მათ სწადიათ თავიანთი დაღუპული შვილი მიწას მიაბარონ, მაგრამ „ხამასს“ მიუფურთხებია მათი სურვილისათვის. ჯიუტობს და უარს ამბობს გვამები მშობლებს დაუბრუნოს.

პრემიერ მინისტრის აზრით, ესეც გამოხატავს ისლამური ტერორის საშინელებას.

ბ. ნეთანიაჰუ შეეხო ირანის თემას და აღნიშნა, რომ ირანის ატომურ საფრთხესთან ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა. ეს ბრძოლა ახლა იწყებაო:

— ისრაელი თეირანის რეჟიმს არც ახლა და არც მომავალში, არასოდეს, არ მისცემს უფლებას დაამზადოს მასობრივი მოსპობის ისრაღი — ნეთანიაჰუს ამ სიტყვებს დარბაზი ოვაციით შეხვდა.

დასასრულს ნეთანიაჰუმ გაიმეორა, რომ სჯერა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებისა, მოთუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რეგიონში მიმდინარე ცვლილებებსო და მსოფლიოს თანამეგობრობას მოუწოდა, შეწყვიტონ ისრაელის კრიტიკა — მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, ითანამრომლონ ებრაულ სახელმწიფოსთან.

პან გი მუნის დამახინჯებული ხედვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მკაცრად გააკრიტიკა ბინიამინ ნეთანიაჰუ მისი განცხადების გამო: სექტემბრის შუა რიცხვებში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ თავის ოფიციალურ გვერდზე განათავსა ვიდეო რგოლი ინგლისურ ენაზე, რომელშიც აცხადებს: ყოველი ადამიანი, რომელიც გამოდის ებრაული დასახლებების გაფართოების წინააღმდეგ და მიიჩნევს, რომ იუდეისა სამარიის ებრაული მოსახლეობა ხელს უშლის ისრაელში მშვიდობის დამყარებას, ფაქტიურად მხარს უჭერს ეთნიკურ წმენდას.

საპასუხოდ პან გი მუნმა განაცხადა, რომ ნეთანიაჰუს ამ მოსაზრებამ ძალიან შეაშფოთა, რადგან იგი მიუღებელი და აღმაშფოთებელია.

— ნება მომეცით, საკითხს სინათლე მოვფინო: საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს დასახლებები უკანონოა. ოკუპაცია უნდა დამთავრდეს — თქვა პან გი მუნმა გაეროში გამართულ შეხვედრაზე, რომელზეც განიხილებოდა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია.

პან გი მუნმა ასევე შეშფოთება გამოსთქვა ისრაელ-სირიის საზღვარზე შექმნილი დაძაბულობის გამო და ორივე ქვეყანას მოუწოდა „დაიცვან ძალთა დაშორიშორების თაობაზე დადებული შეთანხმება და გამოიჩინონ თავდაჭერილობა“.

ისრაელის წარმომადგენელმა გაეროში დანი დანონმა პან გი მუნის გამონათქვამის კომენტირებისას თქვა, რომ ეს გახლავთო ისრაელში შექმნილი სიტუაციის დამახინჯებული ხედვა.

— დაბრკოლებები იწყება პალესტინის მიერ ტერორის წამქეზებლობით და აბუ მაზენის უარით იმაზე, რომ შედგეს შეხვედრა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუსთან. ნაცვლად იმისა, რომ განსაჯოს „ჰამასი“ , გვირეებისა და სხვა ტერორისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ნაცვლად იმისა, რომ პალესტინურ ტერორთან საბრძოლველად მობილიზება გაუკეთოს ყველა რესურსს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი პან გი მუნი, როგორც ყოველთვის, ისრაელს ამტყუნებს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ „ისრაელის დეკლარაცია“ მიიღო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განიხილა და მიიღო ე.წ. ,,ისრაელის დეკლარაცია“ ამ დეკლარაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში გამოყენებული იქნას მაღალი ტექნოლოგია — ისრაელი ხომ სოფლის მეურნეობაში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა — გამოყენების ლიდერია მთელ მსოფლიოში — თავისი ტექნოლოგიური სისტემები გააქვს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში: დიდი ბრიტანეთი, აშშ,გერმანია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და სხვ. ამ სახელმწიფოებში დიდი მოთხოვნილებაა ისრაელის წვეთოვანი მორწყვის ელექტროსისტემაზე, სათბურებში ოპტიმალური (გაანგარიშებული) კლიმატის დაყენებისა და მცენარეთა ზრდაზე კონტროლის და ხელოვნურ საფარზე მცენარეთა გამოყვანის სისტემაზე.

ისრაელის ამ ტექნოლოგიას ვერა-რა კონკურენციას ვერ უწევენ მსოფლიო ბაზარზე ამ სფეროს ლოდერები: ჩინეთი, ესპანეთი. ამათი ტექნოლოგიის ფასი 20-30 % მაღალია, ვიდრე ისრაელისა,ხოლო ისრაელის ქარხნების მწარმოებლობა 40% მეტია.

ახალი ელჩი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუვალ ფუქსმა კადენციის ვადის ამოწურვის შემდეგ საქართველო დატოვა. საქართველოში მუშაობას შეუდგა ისრაელის ახალი ელჩი შაბთაი ცური, რომელიც ამ თანამდებობაზე 2005-2008 წლებში მუშაობდა.

მეცნიერებმა გაშიფრეს...

ისრაელელმა და ამერიკელმა მკვლევარებმა გაშიფრეს უძველესი ებრაული მანუსკრიპტი, რომელიც აღმოჩენილი იქნა ეინ გედიში ძალიან დიდი ხნის წინათ ხანძრის მიერ განადგურებული ბეით ქნესეთის (სინაგოგის) ადგილზე. მანუსკრიპტი ისე იყო დაზიანებული, რომ მისი გაშლა შეუძლებელი გახლდათ.

1970 წელს ეინ გედიში, უძველესი ბეით ქნესეთის ადგილზე, არქეოლოგებმა, ერთობ მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინეს — ბეით ქნესეთის ნანგრევებში იპოვეს კიდობანი, რომელშიც მოთავსებული გახლდათ ცხოველის თითქმის მთლიანად დამწვარი ტყავის ნაგლეჯი პერგამენტს რომ ჰგავდა. 40 წელი დასჭირდა იმას, რომ მეცნიერებს ისე გაეშიფრათ, თუ რა ეწერა პერგამენტზე, რომ იგი საბოლაოდ არ ქცეულიყო ფერფლად.

მეცნიერებმა პერგამენტის გასაშიფრად გამოიყენეს მოდელირებული 3D და რენტგენის სხივები. პირველ ეტაპზე განსაზღვრეს, თუ როგორი გამოსახულებებია. მეორე ეტაპზე სკანირებული ნახაზისგან შეადგინეს თუ რა ასო-ბგერები და სიტყვები იყო პერგამენტზე. მესამე ეტაპზე გრაგნილი გაშალეს, რათა დაგრაგნილი პერგამენტზე დაწერილი ტექსტი წაეკითხათ.

გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ ეს არის ბიბლიის — ძველი აღთქმის ყველაზე ძველი ტექსტი, მასზე მოთავსებულია ლევიტთა წიგნის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია სამსხვერპლო ცეცხლის გაჩაღებაზე. მეცნიერები ამ აღმოჩენას ადრე ახალი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნით ათარიღებდნენ, მაგრამ გაშიფრვის შემდეგ თარიღი შეიცვალა — პერგამენტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნისაა.

თელ-გორენის ბორცვი, რომელზეც განლაგებულია ეინ გედი, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ძლიერ საინტერესოა. იუდეის უდაბნოში ეს არის ადგილი, რომელშიც შემონახულია ძველი ქალაქის წყალმომარაგების უნიკალური სისტემის ნაშთი, ბეით ქნესეთების ნანგრევები და უძველესი გრაგნილები.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის დელეგაცია აზერბეიჯანის პრეზიდენტთან

13 სექტემბერს აზერბეიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის(მეკ-ი) ეგიდით მიიღო ებრაელთა რეგიონალური კონგრესების დელეგაცია: ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი — იულიუს მაინლი და რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი — იური კანერი. დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც ასევე შედიოდნენ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი, მეკ-ის პრეზიდენტის მოადგილე დიპლომატიის საკითხში მარამ სტერნი, ცხადია, ხელმძღვანელობდა მეკ-ის პრეზიდენტი რონალდ ლაუდერი. აზერბეიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილი გახლდნენ აზერბეიჯანში დაბადებული და აღზრდილი დიდი მეცენატები: მეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი გოდ ნისანოვი და რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი გერმან ზახარიევი.

შეხვედრაზე ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ აზერბეიჯანს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ისრაელის სახელმწიფოსთან და აზერბეიჯანის ებრაულ თემთან, ისევე როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ებრაულ სტრუქტურებთან, სამაგალითოდ დაასახელა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესთან ურთიერთობა, აღნიშნა. რომ ,,მთიელი ებრაელები“ ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰარმონიულად ცხოვრობენ აზერბეიჯანში. თითქმის იგივე ითქმის აშქენაზ ებრაელებზე. ისინი, ისევე როგორც სხვა რელიგიებისა და ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქენი, შეხმატკბილებულ ცხოვრებას ეწევიან ამ მიწაზეო.

დელეგაციის მეთაური რონალდ ლაუდერი სრულიად დაეთანხმა აზერბეიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს და აღნიშნა, რომ ამ მუსლიმურ სახელმწიფოში ებრაელთა მდგომარეობა ძალიან კარგია და ამის გამო მადლობა მოახსენა სახელმწიფოს მეთაურს.

— ეს იყო მეტად საინტერესო და შინაარსიანი საუბარი ყველა იმ საკითხზე, რაც აღელვებთ ორ პრეზიდენტს — ალიევსა და ლაუდერს. დღეს მნიშვნელოვანია შევიცნოთ ის პროცესები, რაც ამ ქვეყანაში მიმდინარეობს და ცნობადი გავხადოთ ისინი სხვა, განსაკუთრებით კი მუსლიმური სახელმწიფოებისათვის. ყურადღება უნდა გავამახვილოთ მულტიკულტურალიზმის სფეროში მიღწეულ წარმატებებზე — აღნიშნა იური კანერმა.

ი. კანერმა მადლიერებისა პატივისცემის ნიშნად ილჰამ ალიევს ქარვის ჭადრაკი მიართვა — საჩუქარი მიესადაგა იმას, რომ პრეზიდენტების შეხვედრის დღეებში ბაქოში 42-ე საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

შეხვედრა რომის პაპთან

რომის პაპი ფრანცისკი ვატიკანში შეხვდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის დელეგაციას მისი პრეზიდენტის — რონალდ ლაუდერის მეთაურობით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი იულიუს მაინლი, ევროპისა და ამერიკის დიდი ებრაული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

პონტიფიკმა თავის გამოსვლაში ისაუბრა მსოფლიოში ჰუმანიტარულ კრიზისზე, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქრისტიანებმა და ებრაელებმა ერთად უნდა იბრძოლონ მსოფლიოში გაბატონებულ სისასტიკის წინააღმდეგ,

რომის პაპმა ებრაელობას მიულოცა როშ ჰა შანა. ყველა ებრაელს უსურვა ბედნიერი ახალი წელი.

(დასასრული)

დან გამომდინარე, ებრაელობა ამ მიწაზე მე-19-20 საუკუნეებში კი არ მოვიდა, ისტორიის ამ მონაკვეთში ერმა მოახერხა საუკუნეების შემდეგ საკუთარ ოჯახში დაბრუნება და ძმებთან შეერთება.

ასე რომ, ისრაელის სახელმწიფო სამი ათასზე მეტი წლისაა და იომ ჰაცმაუთის დღეებში უნდა ვიდღესასწაულოთ არა ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების 69,70, თუ მომდევნო წლისთავები, არამედ უნდა აღვნიშნოთ ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 69,70, თუ მომდევნო წლისთავები, ე.ი. ახალი სიცოცხლის დაწყება იმ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა, რომელებიც მტრებმა მოსპეს, გააცამტვერეს.

პრემიერ-მინისტრი დაეთანხმა მწერლის მოსაზრებას და ისაუბრა ისრაელის დაძაბულ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორია ისრაელის ყოველდღიურობა და კიდევ რამდენი საკითხია მოსაგვარებელი.

12 სექტემბრის დილის სხდომა ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ებრაელი მოღვაწის მორდეხაი არბელის და გამოჩენილი მწერლის ელი ვიზელის ხსოვნისადმი პატივისმიგებით დაიწყო. მოისმინეს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის რობერტ ზინგერის ვრცელი მოხსენება, რომლის შემდეგაც აღმასკომის წევრებმა ისრაელის პრეზიდენტის სასახლეში გადაინაცვლეს. აქ გაიმართა შეხვედრა საქელმწიფოს პრეზიდენტ რეუვენ რივლინთან. აღმასკომის წევრები პრეზიდენტს ტაშითა და სიმღერით შეეგებნენ — 12 სექტემბერი მისი დაბადების დღე ყოფილა. მოდერატორი გახლდათ ქალბატონი ჩელა საფრა, რომელმაც შეკრებილთ ერთი საინტერესო გარემოება გააცნო: ებრაულ ენაზე პირველად ყურანი სწორედ პრეზიდენტის მამას უთარგმნია. აი, სად იღებს სათავეს ის, რომ ისრაელის დღევანდელი პრეზიდენტი ერთობ ტოლერანტული პიროვნება გახლავთო.

ისრაელი საპარლამენტო სახელმწიფოა — აქ პრეზიდენტის ფუნქციები ერთობ შეზღუდულია ამიტომაც შეხვედრა გაცნობით ხასიათს უფრო ატარებდა. პრეზიდენტმა კი საინტერესოდ ისაუბრა დღევანდელ ისრაელზე, პალესტინის ავტონომიასთან სამშვიდობო პროცესზე, დიასპორის ებრაელობაზე.

ნაშუადღევს სხდომა კვლავ გაგრძელდა. განიხილებოდა ასევე მნიშვნელოვანი საკითხები. მიღებული იქნა რამდენიმე რეზოლუცია.

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია

იცხაკ დავიდი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „მ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12, 2013; №10, 12, 2014, №2, №3, №8 2015; №1 2016)

მეოთხე მაქაბელთა წიგნი უშუალოდ ეხება ფილოსოფიას, როგორც საგანსა და დისციპლინას, ვითარც უზენაეს სათნოებას.

გონების სუნტლობა-უფლობის მაგალითი ვნებაზე, ავტორს მოჰყავს ხახანსა და მისი შვიდი ძის თავგანწირვის ეპიზოდის სახით.

მესამე ეზრა გამორჩეულ, ტანმაღალ ჭაბუკზე მეტყველებს, რომელიც სინას მთაზე იდგა და გვირგვინს ადგამდა მკვდრეთით აღმდგართ „ვინ განიძარცვა სამოსელი მოკვდავთა და უკვდავთა სამოსით შეიმოსა და აღიარა სახელი ღვთისა...“ უზენაესის გზის შემეცნება.

ბიბლია იმ სახით, როგორითაც ჩვენ მივიღეთ. გადმოცემულია უკვე ძვ.წ. 130 წელს ბენ სირას შვილიშვილის წინასიტყვაობაში (იხ.—ბერძნ. “სიბრძნე იეშუ სირახის შვილისა“. ალექსანდიულმა სკოლამ ამ კანონს— მიუმატა რიგი წიგნებისა. რაც მიიღო ქრისტიანობამ აპოკრიფების სახით. მაშინ როცა ებრაული ბიბლია რეალისტურ—სინთეთიკური აზროვნების პრინციპებით ხელმძღვანელობს. ბერძნული ფილოსოფიის კორიფეებმა მკაცრად თეორიული აზროვნება აირჩიეს. გარდა ამისა. ბიბლიური მისტიკურ—თეოლოგიური ქარიზმა მკვეთრად დაუპირისპირდა ძველ წვრილბურჟუაზიულ ებრაულ ინტელექტუალიზმს და წინა პლანზე წამოსწია შიდასამყაროსეული მოქმედების რაციონალურ—რელიგიური ეთიკის უმაღლესი დონე.

ბიბლიური იუდაიზმის უწინარესი ღირსება იყო ის. რომ მან საკაცობრიო გვარის ერთიანობა აღიარა. ამასთან დაუშვა ღ—ის ზოგადსაკაცობრიო და პირიქით. საკუთრივ ადამიანის ღმერთსახოვნების იდეა. რაც ბრწყინვალედ შეერწყა, საეროდ ბიბლიის ანტიდოგმატურ ქარგას, სიყვარულის ეთიკასა და რიტუალურ—სქესობრივ სისუფთავეს.

მაშინ როცა ბიბლიამ წინ წამოსწია სულის უკვდავების დიალექტიკური მხარე. იგი შეეჯახა ელინისტურ—მატერიალურ სისტემებს.

ირმიაჰუს მოწაფე ბარუხიც საკმაოდ ესქატოლოგიურადაა განწყობილი. იგი ლაპარაკობს დღეებზე. როცა “დრონი აჩქარდებიან თავიანთ სრბოლაში, ჟამნი ისწრაფებენ სვლაში...“ {20:41}

„ადამისა და ხავას“ აპოკრიფულ წიგნში. რომელიც ძვ.წ. დასასრულს დაიწერა. ღ-ი ეუბნება ადამს „წამოდჯომით წამოგაყენებ შენ დღეთა და დანაა“. (იხ. სეფარიმ ხიცონიიმ ლე-თანახ. გვ.17 შემოკლ. აპოკრიფები).

ხანოხი თავის წიგნში (დაიწერა ხაშმონაელთა პერიოდში) ცხადად წარმოსთქვამს “ვიხილე სულები ადამიანის შვილთა. რომ დაიხოცნენ და ხმა მათი ზეცას სწვდებოდა და იყო ეს ხმა დავრდომილობისა” (აპოკრ.. გვ.41-42) და შემდეგ იგი განაგრძობს საოცარი მისტიკური ენით:

“მანამ სანამ არც არავინ იყო და სანამ არ გაჩნდნენ ყველა გაჩენილნი. გააჩინა იჰვჰ-მ ყველა გაჩენილობა. ხილული და არახილული. რამეთუ არა არს რა დაფარული ღ—ის წინაშე და ყოველმა ადამიანმა უნდა შეიცნოს ქმედებანი თვისნი“.. „და მაშინ დაიკარგებიან დრონი და აღარც წლები იარსებებენ და აღარც თვენი და დღენი, და საათნი დაილევიან და აღარ დაითვლებიან. და სამყარო ერთი დადგინდება (იხ. ხანოხი. 2,17:1-5. აღსანიშნავია რომ ხანოხი არარატის არმენიასაც იხსენიებს იქვ., 24:1).

არაკანონიკური ნაწარმოების “მეორე“ ეზრა (თ.3:14) მიხედვით. ძვ.წ–ით 458-445 წწ) ეზრა წინასწარმეტყველის ხელმძღვანელობით ხორციელდება ებრაელ წარტყვევებულთა დაბრუნება იერუშალაიმში და ქალაქის კედლების აშენება.

სპარსეთის მეფე დარიუს მეორე (ძვ.423-404) 127 სატრაპიის მბრძანებელი მიმართავს აგრეთვე დიდებული მიდიისა. ანუ სამხრეთ—აღმოსავლეთ. კავკასიისას (იხ. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1989.გვ.433).

აი, სწორედ აქეთ — მიდიისკენ მოემგზავრება აშურის მეფის ნემესაროსის დროს ნინევედან ტობითი ძე ტობიელისა, რომელიც ხელს უმართავდა და ეხმარებოდა თავის თანატომელთ. იგი იხსენებს სანხერიბის ორ ვაჟს, რომლებიც არარატისკენ (ურარტუ) გაიქცნენ (იხ. ტონიო. 1:14. 21).

საინტერესოა აღწერილი სასწაულთქმედებაც მიდიის ქალაქ რაგეში. ტობიას ქორწილი სარასთან, რომელსაც ადრე 7 საქმრო დაეღუპა სანთიობო—საძინებელში.

ნიშანდობლივია ის მისტიური რწმენა, რომელიც ამ ეპიზოდებს გასდევს წითელ ზოლად. იდუმალად გამოცხადებულმა ანგელოსმა რაფაელმა იხსნა ტობია. დაუბრუნა იგი მამამისს და ამასთან დაკავშირებით წარმოსთქვა ტობითმა თავის აღსარება და დამოძღვრა შვილიც (14:4) - წადი მიდიაში შვილო. რადგან მჯერა. რაც იონა წინასწარმეტყველმა თქვა ნინევე-ზე “დაემხობაო იგი“ მიდიაში კი მშვიდობა იქნება.

იუჰუდითის (ივდით) მიხედვით ნაბუქოდონოსორის მთავარსარდალი ოლიფერნე, მახვილით იპყრობს ილიკიას, მიდიას... (2:25.26).

ბიბლიაში რწმენა ყოველგვარ ცოდნაზე მაღლა დგას. ვითარც დიალექტიკური ფენომენი იგი დაკავშირებულია შიშთან. იქ, სადაც არსებობს რწმენა, გამორიცხულია შიში. ისინი ერთად ვერ მოიაზრებიან. მითუმეტეს. ადამიანი, ვითარც თავისუფალი ნების მქონე. საკუთრივ ღვთის შიშისგანაც კია თავისუფალი. თუმც, რამდენადაც რწმენა ღ-ისა გამორიცხავს შიშის პრობლემას, ცხადია საკუთრივ რწმენა. ანუ შიშის მოხსნის ფენომენი შეიცავს პრინციპულად და არსობრივად შიშის ელემენტსაც.

ღ-ის თვითდამკვიდრების მონოთეისტური იდეა. რწმენის აპოკალიპტური ძალა. რომელიც ანთროპოლოგიურ ასიმეტრულობაში ვლინდება, ადამიანს აქცევს ობიექტურად მოცემულ რედუცირებულ-ტრანსცენდენტალურ ფენომენად.

იქნებ, სწორედ ამის გამოა რომ ებრაელებისადმი გაგზავნილ პავლეს წერილში რწმენა მატერიალიზებულია. იგი საგნობრივ ფენომენადაა გამოცხადებული. რწმენის სუბსტანციალური გამოვლენის სახეებია: 1 მიმართვა (ბგერით—ხმოვანი ფორმა) (შდრ. ფსალმ., 55:4) 2 მედიტაცია (“ძვ 63:6).

ღ—ი საკუთრივ ადამიანურ—სულიერი არსობის ნაწილადაა გადაქცეული. (ეხა, 3:24) იუდაიზმში რწმენა ღმერთ - ადამიანის გაგების უშუალო ერთობლიობის კომპლექსშია მოქცეული. ქრისტიანობაში კი რწმენა გაშუალებულია. გამედიუმებულია. ამდენადვე. ასეთი კავშირი ღ—თთან ე.წ საკომუნიკაციო ენტროპიისაგან როდია თავისუფალი.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიღებდეთ. რომ არ შეიძლება 1) ენის აღწერა საკუთრივ ენით. საჭიროა მეტა—ენის არსებობა 2) რომელიმე ენის ასათვისებლად, აუცილებელია ემანსიპაცია. განთავისუფლება მშობლიური ენისაგან 3) ჯერ ენობრივი წყობაა გასათვალისწინებელი. შემდეგ კი პოეტური აღქმა.

საკუთრივ ქრისტიანობამ დავიდის—ძის სასწაულთქმედებებზე ააგო თავის სარწმუნოებრივი იდეოლოგია. ესაა რწმენა ფერისცვალებისა და აპოკალიფსის შესახებ.

კაბალისტებმა სულთა მეტამორფოზში ჰპოვეს თავიანთი მისტიურ—ფილოსოფიური სისტემის ბუნებრივი. ლოგიკური და რამდენადმე რელევანტურ—პრაქტიკული დასასრულიც. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ებრაული სქოლასტიკა და საერთოდ იუდაისტური დოქტრინა არც სცნობდა ამ, ერთის მხრივ ეგვიპტურ—ბერძნულსა და მეორეს მხრივ, მცირე-აზიურ კარაიმულ-სექტანტურ კონცეფციას.

ხსენებულის თვალსაზრისით, ორი მომენტია საინტერესო: 1) პრაქტიკული კაბალის მოძღვრება ინდივიდუალური სულების ემანაციაზე 2) მე-16-18 სს-ში ხალხში გავრცელებული რწმენა მოხეტიალე სულების შესახებ. ე.ი სხეულებრივ—ფიზიკური მატერიის შემდეგ ადამიანის არსებული სული. ვითარც თავისთავადი ინდივიდი — არსობრივი შემცველობა სხვადასხვა მიმართულებით იბნევა.

ერთი სიტყვით, იუდაიზმმა მოახერხა შეექმნა რამდენადმე დასრულებული სისტემა განგებისა (ჰაშგახა). ამ შემთხვევაში რადიკალურად დაუპირისპირდა ერთმანეთს ადამიანის პიროვნული თავისუფლების ცნება და ღვთაების პროვიდენციალური ჩარევის ცნება ადამიანის ბედის წარმართვაში.

სული სიცოცხლის ნაწილია. სიცოცხლე კი მოძრაობაა, ე.ი. სულიც მოძრაობაა. ან მისივე ნაწილი. ადამიანის მიზანს საკუთარი თავის თვით—გახორციელება შეადგენს.

კაბალა, ვითარც მოძღვრება მარადმაცოცხლებელი სასწაულთქმედი სულის შესახებ, უპირისპირდება ბერძნულ სიბრძნეთმოყვარულობას, ანუ ფილოსოფიას. მითაც რომ იგი - კაბალა, თავის სახელწოდებისებრ მიანიშნებს თაობიდან თაობაზე ებრ. ფარულთმცოდნეობის გადაცემა-მიღებაზე.

ებრაული ენა ამოუწურავ ლინგვისტურ რეზერვუარს ქმნის მისტიკოსი კაბალისტისთვის. ნებისმიერი ებრ. ასოს მოხაზვაც კი გონებისა და სხეულის გამაერთიანებელ ეფექტს შეადგენს. მიბაძავს რა ღვთაებას. კაბალისტი ხელახლა ქმნის თავის თავს. აღვიძ—აცოცხლებს რა პოტენციალურად არსებულ ღრმა სპირიტუალურ ენერგიას.

იგი ალაგ-აადგილებს ასოებს — ფიზიკურ-ნივთიერი სამყაროს ნიადაგს. ფორმასა და ბგერადობას - იარაღთ რომელთა საშუალებითაც ღ-მა შექმნა სამყარო. თავდაპირველ ასოთ შეადგენდნენ ალეფ, მემ და შინ, რომლებიც შეიცავდნენ ყველა დანარჩენ ასოს. ღვთაებრ. განფენილობის გამტარებელ არხებს რომ წარმოადგენდნენ.

საბოლოო ჯამში, ებრაულ—ფინიკიურმა ანბანმა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშა. შემადგენელი ანბანურ—დამწერლობითი ელემენტები მსოფლიოში არსებული ყველა ენის (ჩინურის ჩათვლით) პიქტოგრამას იეროგლიფსა თუ საკუთრივ ნიშან ასოს მოიცავენ.

ებრაული ასოები იძენენ იმ ფარულ, კოსმიურ, მისტიკურ ძალას. რომლის მეშვეობითაც გამოვლინდებიან მატერ. ფორმა, ხმოვანი ბგერა და მოხაზულობა.

ასოთშენაერთების მიხედვით სასწაულთქმედება ცნობილია უკვე წიგნიდან „სეფერ იეცირა“. დაახლოებით ანალოგიური სისტემა გააჩნდათ ძველეგვიპტური კოსმოგონიისა და გნოსტიკოსების (ძვ.წ.2 ს) წარმომადგენლებს. შესაძლებლად მიაჩნდათ 28 ასოთი ქმნადი ელემენტების წარმოქმნა. რომლებიც მოქმედებენ როგორც მაკროკოსმზე. ასევე მიკროკოსმზე.

ებრაულ—მისტიკური ასოთქმნადობის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატა. რომ იგი დაეყრდნო დიალექტიკური დინამიზმის პრინციპს. უკიდურესობამდე განავითარა რა ყველა ის თვალსაზრისი. რომელიც ადამიანის შერწყმას ღვთაებასთან გულისხმობდა სწორედ ადამიანის დიალექტიკური რაობისა და ადგილის ასპექტით. ე.ი. ადამიანი არა მარტო ღებულობს წინამორბედი თაობებისგან გამზადებულ ლინგვისტურანბანურ სისტემას, არა მარტო იყენებს მას ვითარც ბრმა, საყოველდღეო იარაღს. არამედ თვითონაც იჩენს თავის აქტიურობას საერთო თეო-კოსმოგონიურ პროცესში. აქტიურად ერევა სამყაროსეული საგან-ელემენტების და მოვლენების განლაგება-არანჟირებაში.

და თუ ძველი ებრაული ცივილიზაცია (ძვ.წ. 2000 წლებიდან მოყოლებული) იყო პირველი მონოთეისტური ცივილიზაცია ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში. სიტყვის ანუ ღვთაებრივი ლოგოსის სისტემას რომ დაემყარა. კაბალისტური ასოთქმნადობის თეორია მეორე საუკუნეში რომ ყალიბდება (სეფერ იეცირა) იყო პირველი ფილოსოფიურ–ლინგვისტური მოძღვრება ასო-ბგერათა ფუნქციონალურ დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით. რომ ხსენებული თეორია წინამორბედია თანამედროვე ე.წ. ტრანსფორმაციული გრამატიკების სისტემებისა, რომლებიც ფაქტიურად ენის გამოსახვითშემოქმედებითი საშუალებების უსასრულობაზე მიანიშნებენ. აკი. ესოდენ ბრწყინვალედ ართმევს თავს ამ ამოცანას რ. შნეურ ზალმან მილიადი წარმოდგენილ ნაწარმოებში. რომელიც არანაკლებაა

საინტერესო სწორედ თავისი ფსიქო-ლინგვისტური პრობლემატიკის წარმოჩენით.

აი, დგას შუასაუკუნეების ებრაელი კაბალისტი და ღვთაებასთან კავშირს ცდილობს სწორედ ასოთშენაერთების, ჩანაცვლება—გადანაცვლებებით. მიაჩნია რა საერთო გლოტო-მორფო-ფონო-გონიური პროცესი უსასრულოდ. რომელსაც მისტიკური თვალსაზრისით ეპარალელება საკუთრივ მატერიალურ-სამყაროსეული ქმნადობისა და აღქმნადობის პროცესი.

ძველქანაანურ—ებრაული ანბანის ასოთა მნიშვნელობის დადგენას მიაწერდნენ ბიბლიურ აბრაჰამს. შემდგომში ცნობილ თალმუდისტ სწავლულ რაბი აკივასაც კი. რომელსაც გადმოცემით კავკასია—საქართველოშიც კი უმოგზაურია გარკვეული ეროვნულ—რელიგიური მისიებით.

ზემოხსენებულის ფონზე. ძნელი არაა დავასკვნათ, რომ შნეურ მილიადი (ბასილ—მიმდევართა შორის ადმორ ჰა-ზაკენ-ად ცნობილი) ებრაულ რაციონალურ—კონცეპტუალური ენათმეცნიერების დამაარსებელიცაა. ეყრდნობა რა სეფერ იეცირისეულ ლინგვისტურ თეორიას ებრ. 22 ბგერის წარმოთქმა—არტიკულაციის შესახებ. ვარაუდობს სამყაროსეული საგნების სათანადო გამომდინარეობასაც საკუთრივ ბგერათა ბუნებრივი შემადგენლობიდან.

ასე მაგალითად ებრაული ასოების ა-ლეფ, მ-ემ, შ-ინ საშუალებით წარმოიქმნება (შ) - ცეცხლი. (მ) - წყალი. შუამდებარე (ა) - ჰაერის მეშვეობით, რასაც ემატება ექვსი სამყაროსეული განზომილება და საკუთრივ რუახ ანუ ღვთაებრივი სული. რის შედეგადაც ვიღებთ ათ სეფირა-ს. ამრიგად შექმნა 22 ასომ, მთელი ფიზიკური სამყარო. (შდრ. თალმუდ ბერახოთ. 55ა). საბოლოო ჯამში სემიტური თეოსოფიის საფუძვლები კოსმო-გლოტოგონიურ შეხედულებებზსაც შეიცავდნენ.

ამ მხრივ ფიზიკურ-არითმეტიკული კონცეფციის გავრცელება კოსმოსზე პითაგორეელებთანაც ინიშნება. მაგ. კოსმოსის ათ ციურ სფეროდ დაყოფა. რომელთაგანაც ყოველი თითოეული დამახასიათებელი გეომეტრიულ—აკუსტიკური აგებულებისა იყო. თავის მხრივ. ებრ. ცნება (ხაიუთ)-ს შესაძლოა შევუფარდოთ ძვ. ბერძნ. ფსიხეა ან მისეული ვარიანტები:

სული. სიცოცხლე. ქარი. ჭავლი.. შდრ. ნეოკონფუციანური ცნება ჩჟოდუნ-იისთან - (ტაი ცზი) დიდი ზღვარი. იაპონ.(ტაი კიოკუ). კორ.. ტნე გიკ), ვითარც მთელი მატერ. ყოფიერების პირველსაწყისისა.

შინტოიზმში გარდაცვალების ფაქტი თავისებურადაა ასახული. იმპერატორი იაპონელთა რწმენით არ კვდება. ის მხოლოდ ეფარება თვალს (იაპ. კაკერერუ).

ასეთ ცნებებს როგორიცაა ბგერა, ხმა, სიტყვა ბიბლიაში განსაკუთრებული მისტიური ძალა ენიჭებათ (იხ. ფსალმ. 29:3 147:5 148:5 და ა.შ.).

კაბალაში რიცხვობრივ ცნებებსაც ენიჭებათ გარკვეული მნიშვნელობა. აი, ავიღოთ რიცხვი შვიდი (7), რომელიც შედგება 6 შესაქმეთა დღისა და მეშვიდე ღვთაებრივი შაბათის დღიდან. ასევეა მატერ. ელემენტებთან ან ნივთებთან მიმართებაში. ნებისმიერი საგანი ხომ 6 მხრიდანაა შემდგარი - აღმოს., დასავ., ჩრდილ., სამხრ., მაღლა, დაბლა. ხოლო მეშვიდე რაობა - ღვთაებრივი სული მასშივეა განსახიერებული. ასე იკვრება ეს წრეც. ამასთან - მასზე ზემოთ არსებობს ზებუნებრივი მერვე ელემენტი. რომელიც არაა უშუალო ნაწილი ბუნებრივი სისტემისა. არამედ ვლინდება ვითარც სასწაული სამყაროს გარედან გამომდინარე. სამყაროსეულ ციკლურ მოძრაობაშივე რომ ხორციელდება.

ღვთაებრივი წინასწარმეტყველური აცისკროვნება იუდაიზმში სულიერი ნათელხილვადობის უმაღლესი საფეხურია. რაც ამასთან ფილოსოფიურ—რაციონალური განსჯის ეტალონით უნდა მოწმდებოდეს. რომ არ გადაიქცეს ცრუმეტყველებაში. ასეთ გაცისკროვნებას ეთიკურ-აღმზრდელობითი ხასიათიც ენიჭება.

კაბალა წარმოადგენდა წინასწარმეტყველურ—გაცისკროვნებითი იუდაიზმის აღორძინებას ფილოსოფიის საფუძველზე, რამბა-ნი (ნახმანიდი) ეძებს თორაში ფარულ ღვთაებრივ სინათლეს. რომელიც შესძლებს ადამიანის სიცოცხლის განათიერებას და გათბობას. ეს კია - შინაგანი ჭვრეტის, რელიგიური ბანმდის. ადამიანისა და ღ—ის კავშირის უწყვეტობის. ყველა ადამიანის თანასწორ—ღირსებიანობის. სულის უკვდავების. ღვთაებრივი გასხივოსნების მიღწევის გზა.

თუ ადრეული რელიგიური მრწამსი ქადაგებდა სარწმუნოებრივი რიტუალების შესრულების ეთიკურ სავალდებულო აუცილებლობას, კაბალამ აღიარა შემქმნელისა და შექმნილის ერთიანობა. სამყაროს ზნეობრივი განახლებადობა თვით შემქმნელ ღ—ში. ამდენადვე გამოაცხადა. რომ ღვთაებრივი ვედრებების შესრულება ღრმა წმინდა გრძნობეულობის გარეშე, მოკლებულია ყოველ მნიშვნელობას რამეთუ მთავარია ღ—თთან შერწყმა. ღრმადჩაფიქრებული (ქართ-ებრ. ტერმინოლოგიით: დაქავანებული) ლოცვის აღვლენის გზით. თვით—აღტკინებისა და აღფრთოვანების გზით. რაც წინასწარმეტყველთაგან მოდის. სამაგიეროდ. ვედრებათა ბრმა. გაუცნობადი შესრულება ღ—ის იქითა მხრიდან) (სიტრა აბრა-დან) მოდის. ესაა მონობისა თუ მორჩილი დაქვემდებარების სახე. მოკლებული შინაგან თავისუფლებას. თალმუდ—რაბინისტული კაზუისტიკისადმი.

ასეთი მრწამსით კაბალა ფართოდ შეიჭრა ხალხის მასებში. წარმოაჩინა რა ძლიერი-მისტიკურად დახვენილი მსოფლმხედველობა და ანტისქოლასტიკური ფილოსოფია.

თუ გავადევნებთ თვალს ებრაული მისტიკურ-ტერმინოლოგიურ კონცეფტებს ანტიკურობის გავლით, პლატონური (ძვ. წ. 428-348) მსოფლმხედველობიისკენ, ტრიადის შესახებ, ადვილად შევამჩნევთ ძირეულ მსგავსებას.

მათ შორის, აკი პლატონიც აცხადებს გონებას უზენაეს მეუფედ. ზენაა რაიერად, ერთიანსა და მსოფლიო სულთან ერთად.

თვით მატერიის ფუნქციონალურობის იდეაც კი წარმოდგენილია პლატონთან, ვითარც იდეის შეკუმშვის, შემცირების, მიჩრდილვის სახე (ციმცუმ), იდეალური ყოფიერებისა ანუ სიკეთისა. საკუთრივ პლატონური დიალექტიკაც ყოველი ნივთის პრინციპული არსის მოძებნათა მეცნიერება იყო.

ჰესიოდური თეოგონიის მიმდევარი ძველი ბერძენი ორფიკებიც ქადაგებდნენ ასევე პლატონისა და პინდარის გადმოცემით, სულთა გადასახლებას (მეტემფსიქოზისს), სულის მატუსაღებელი სხეულ—წყვდიადიდან მისი განწმენდის მიზნით.

ჯერ კიდევ ძველებრაული სექტის ესსეების (ფილონ, ფლავიუს, პლინიუს) მოძღვრების თალმუდ ხასიდიმ რიშონიმ-ის მიხედვით. ლოცვა უნდა იყოს ღრმად დაგულისხმებული. სათანადო განწყობილებებით. რელიგიური ექსტაზით.

ამ პირვანდელ ხასიდებს განდეგილობის გზით სურდათ ღვთაებრივი გამოცხადების მიღწევა. მათზე გარკვეული გავლენა ფარსისტულ-მისტიკურსა და ინდურ-ბუდისტურ შეხედულებებსაც უნდა მოეხდინათ (იხ. Zeitschrift fin. Wissenschaftliche Theologie, ნაწ. 4. 1860. 67. 68. 71).

ესსეებს სწამდათ სულის უკვდავებისა. როგორც ადრეულ ფერუშიმ-თ (განდგომილთ), მათი მრწამსით, ღვთაებრივი განგება მარადმყოვარია (იხ. ფლავიუს, სიძველენი. 13თ5. 9 18:1. 5) ესსეებს ღრმად სწამდათ აგრეთვე ბედისწერის. წინასწარგანსაზღვრულობისა და ა.შ. რასაც ცადუკეელნი უარყოფდნენ. ხოლო ფერუშიმელთ საშუალედო პოზიცია ეკავათ.

ფაქტია ისიც, რომ სულთა გადასახლებისა და გარდასახვის მოძღვრება განავითარა და განავრცო პოსიდუნიუსმა (ძვ. წ. 135-151), რომელიც ამას უკავშირებდა სამყაროს პერიოდულ აელვარებაალებას.

ებრაული მისტიკური პრაქტიკა ჩვ. წ-მდე 300—200 წწ-ში ფორმდება პირველი მისტიკოსები საკმაოდ ახლოს იყვნენ ებრაულ რიტუალურ-საკანონმდებლო სინამდვილესთან. ძირეულად ხსენ. პრაქტიკა გაფორმდა პირველი საუკუნის მისტიკოს რ. ნეხუნია ბ. ჰაკანას შეხედულებებში. რომელმაც უმაღლეს დონემდე აიყვანა კოსმიური ხისა და ასოთშენაერთებით ღვთაებრივი სულის ანაპერწკლება ადამიანში.

ებრაულმა მისტიციზმმა თავისებურად შეისისხლხორცა ბიბლიური საკითხი სქესი. ტრანსპოზიციისა. კაბალაში დედრობითობა და საერთოდ ქალური ფენომენი ფართო ადგილს იკავებს. საკუთრივ ღვთაებას ორი დედრობ. ატრიბუტი გააჩნია შეხინა და მატრონა.

ამ მხრივ შუასაუკ. ებრაულ-მისტიკური სქესობრივი მსოფლმხედველობა. ბევრად მოგვაგონებს ინდურ ანალოგიურ რეალია—გამოსახულებებს. კერძოდ შივა-სა და შაქტი-ს სქესი. აქტის მაგალითზე. მე-13 ს. მისტიკოსი რ. იოსეფი თავის ნაწარმოებში „სეფერ თაშაკ“ წერდა: „იგი (დედრ. ფენ.}.

მათ შრის. აკი პლატონიც აცხადებს გონებას უზენაეს მეუფედ. ზენაარსიერად. ერთიანსა და მსოფლიო სულთან ერთად {სდრ. ხოხმა. რუახ. იიხუდ}.

თვით მატერიის ფუნქციონალურობის იდეაც კი წარმოდგენილია პლატონთან, ვითარც იდეის შეკუმშვის, შემცირების, მიჩრდილვის სახე {ციმცუმ}, იდეალური ყოფიერებისა ანუ სიკეთისა. საკუთრივ პლატონური დიალექტიკაც ყოველი ნივთის პრინციპული არსის მოძებნათა მეცნიერება იყო.

ჰესიოდური თეოგონიის მიმდევარი ძველი ბერძენი ორფიკებიც ქადაგებდნენ ასევე პლატონისა და პინდარის გადმოცემით, სულთა გადასახლებას {მეტემფსიქოზისს}, სულის მატუსაღებელი სხეულ-წყვდიადიდან მისი განწმენდის მიზნით.

ჯერ კიდევ ძველებრაული სექტის ესსეების {ფილონ. ფლავიუს, პლინიუს} მოძღვრების “თალმუდ ხასიდიმ რიშონიმ-ის მიხედვით. ლოცვა უნდა იყოს ღრმად დაგულისხმებული, სათანადო განწყობილებებით, რელიგიური ექსტაზით.

ამ პირვანდელ ხასიდებს განდეგილობის გზით სურდათ ღვთაებრ გამოცხადების მიღწევა. მათზე გარკვეული გავლენა ფარსისტულ-მისტიკურსა და ინდურ-ბუდისტურ შეხედულებებსაც უნდა მოეხდინათ, {იხ. Zeitschrift für wissenschaftliche Theologie, ნაწ. 4.1860, 67, 68, 71}

ესსეებს სწამდათ სულის უკვდავებისა, როგორც ადრეულ ფერუშიმ-თ {განდგომილთ}. მათი მრწამსით, ღვთაებრივი განგება მარადმყოვარია {იხ. ფლავიუს, სიძველენი, 13თ5.9 18:.5} ესსეებს ღრმად სწამდათ აგრეთვე ბედისწერის, წინასწარგანსაზღვრულობისა და ა.შ. რასაც ცადუკეელნი უარყოფდნენ. ოლო ფერუშიმელთ საშუალედო პოზიცია ეკავათ.

ფაქტია ისიც, რომ სულთა გადასახლებისა და გარდასახვის მოძღვრება განავითარა და განავრცო პოსიდუნიუსმა {ძვ.წ. 135-151}, რომელიც ამას უკავშირებდა სამყაროს პერიოდულ აელვარებაალებას.

ებრაული მისტიკური პრაქტიკა ჩვ.წ-მდე 300-200 წწ-ში ფორმდება. პირველი მისტიკოსები საკმაოდ ახლოს იყვნენ ებრაულ რიტუალურ-საკანონმდებლო სინამდვილესთან. ძირეულად ხსენებული პრაქტიკა გაფორმდა პირველი საუკუნის მისტიკოსის რ. ნეხუნია ბ. ჰაკანას შეხედულებებში, რომელმაც უმაღლეს დონემდე აიყვანა კოსმიური ხისა და ასოთ შენაერთებით ღვთაებრივი სულის ანაპერწკლება ადამიანში.

ებრაულმა მისტიციზმმა თავისებურად შეისისხლხორცა ბიბლიური საკითხი სქესობრივი ტრანსპოზიციისა. კაბალაში დედრობითობა და საერთოდ ქალური ფენომენი ფართო ადგილს იკავებს. საკუთრივ ღვთაებას ორი დედრობ. ატრიბუტი გააჩნია: შეხინა და მატრონა.

ამ მხრივ შუასაუკუნეობრივი ებრაულ-მისტიკური სქესობრივი მსოფლმხედველობა, ბევრად მოგვაგონებს ინდურ ანალოგიურ რეალია-გამოსახულებებს. კერძოდ შივა-სა და შაქტი-ს სქესობრივი აქტის მაგალითზე.

ზოჰარის მიხედვით სულები ორად განიყოფებიან. მამრობითად და დედრობითად. პირველნი თავს იყრიან ხესედ-ის სეფირა-ში, მეორენი — დინ-ისაში. სულის სამივე ელემენტის ურთიერთმიმართება სხეულთან შედარებულია დანთებულ ალთან, რომელშიც ორი ფერი გამოირჩევა - თეთრი და მუქი.

თეთრი - მაღლა სწრაფული სწორი ზოლია, მუქი კი თვით საწვავ საფუძველთან ახლოს მყოფი {იხ. ამ საკითხის განხილვა გუტმანის, შეიერის, იოელის, გინსბურგის, ჰოროვიცისა და სხვათა ნაწერებში.}.

მე-7-8 სს-ში შეიქმნა „სეფერ იეცირა“-სეული მოძღვრება სამყაროს გაჩენა-განსახვაზე არაფრიდან, რაოდენობის (ნივთიერი ცეცხლი, მიწა, ჰაერი) კავშირით რაობასთან (ფორმა) - ათი გრადაციული სეფირ-იდან, რომ შედგება, ემანირდება ღ-ისგან და მასვე უბრუნდება შეერთებისა და გათიშვის მუდმივი ციკლის გავლით {შდრ. წარმართული შეხედულებების გავლენის ქვეშ მყოფი ბაბილონურ-ძველებრაული სისტემები, შემდეგ კი ისლამი, კარაიზმი, რაციონალიზმი... ასევე დავიდ ალმოკამეცის სადაია გაონისა და არაბ მუთაძილიტთა შეხედულებანი}.

ყოველივე ზემოთთქმულიდან თანდათან გამოიკვეთა რვა ძრითადი პრინციპი: ერთადერთი ღვთაებრივი ნება. განსახვა არაფრიდან, სულის უსხეულობამ თორის მოვლენადობის ღვთაებრიობა, ნების თავისუფლება, თვთაებრ. საზღაურის მიგება, მიცვალებულთა გაცოცხლება, ისრაელის ხსნა).

სეხელ -საზრისი, ინტელექტი, მოიცავს ხ-ბ-დ-ის ატრიბუტებს, კერძოდ ხოხმა „სიბრძნე“ ბინა “გონება“„და’ათ „ჭკუა“ პირველ სამ სეფირას. აღინიშნებიან აგრეთვე როგორც მოხინ „ტვინნი“ და იმმოთ „დედანი“, წარმოადგენენ წყაროებს მიდოთ-ისთვის.

შევირათ ჰა-ქელიმ - ჭურჭელთმსხვრევა, ლურიანული კაბალას ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი {იხ. ეგრეთ ჰაკოდეშ. თთ.26.28}

შეხინა - ღვთაებრივი განფენილობა.

ნაცოც | ნიცოცით - ნაპერწკლები ღვთაებისა, სიწმინდისა, რომლებიც კეთილის მოქმედებისას თავისუფლდებიან ადამიანის სხეულებრივი შეზღუდულობიდან და ღვთაებას ერწყმიან.

ნ.ხ.შ. - ნიდუი, ხერემ, შემათა - შეჩვენება, მოკვეთა, გაწბილება - წყევლის სიმბოლონი.

ორ - სინათლე ღვთაებრივი ემანაციის წყარო. აქედან „ორ ენ სოფ“ უსასრულო სინათლე“ ემანაცია, გამოსხივება უსასრულობიდან.

რაციონ - სურვილი, ნება აქედან რაცონ ჰაელიონ „ნება უზენაესისა“.

სეფირა | სეფიროთ - ღვთაებრივი ატრიბუტები, ემანაციები, ათი სეფირა ორ კატეგორიებად რომ იყოფიან სეხელ „ინტელექტი“ და მიდდოთ განწყობა-თვისებები. სეფიროთ-ნი ვლინდებიან ყოველ თითოეულ ოთხ სამყაროში {იხ. აბი’ა) ისინი ათი სულიერი ძალის წყაროს შეადგენენ. {ვრცლად თანიას ტექსტსა და გამოკვლევაში}.

უკანასკნელი მოჰიკანი ასპარეზს გაეცალა

93 წლისა გარდაიცვალა შიმონ პერესი—დიდი პოლიტიკოსი, ისრაელის სახელმწიფოებრიობისათვის მებრძოლთაგან უკანასკნელი მოჰიკანი. იგი იბრძოდა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და თანამებრძოლებთან დიდ დავით ბენ გურიონთან, იცხაკ რაბინთან, მენახემ ბეგინთან, იცხაკ შამირთან, არიელ შარონთან ერთად შექმნა კიდეც თანამედროვე ისრაელი—ძლიერი, მდიდარი სახელმწიფო. ამაზე მინიშნებით ლაპარაკობენ, მაგრამ საყოველთაოდაა ცნობილი რომ დავით ბენ გურიონმა სწორედ მას დაავალა ისრაელის ატომური ფარის შექმნა, რაც გახლავთ ისრაელის სამხედრო ძლიერებისა და უსაფრთხოების გარანტი. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში შიმონ პერესი ისრაელის სახელმწიფო ინტერესებს იცავდა, როგორც სახელმწიფოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და ყველგან იყო დიდი ავტორიტეტი. სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო, თუ სხვა დიდ საკითხებს განაგებდა, ყველგან ერთ ფუნქციას ასრულებდა—აშენებდა ისრაელის სახელმწიფოს

საყოველთაოდაა ცნობილი მისი, როგორც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლის პროფილი—ოსლოს ხელშეკრულების არქიტექტორად სწორედ მას მიიჩნევენ, კემპ დევიდის შეთანხმების ავტორადაც, რის გამოც მემარჯვენეთა არაერთი თავდასხმა იგემა, ის კი ნაბიჯ-ნაბიჯ აოკებდა ცეცხლზე ნავთის დამსხმელთა სამართლიან გზნებას, რადგან მიიჩნევდა, რომ შეთანხმებას არა მეგობრებთან მტრებთან აღწევენ, მტრები ხელშეკრულებებითაც უნდა შეაკავოო.

შიმონ პერესი იყო დიდი ინტელექტუალი—ხელოვნების, მეცნიერების დამფასებელი, შესანიშნავად იცნობდა ვეფხისტყაოსანს და ერთობ საინტერესო მოსაზრებას გამოუთქვამდა მასზე, ეწადა ლევ ტოლსტოი დედანში წაეკითხა და რუსულ ენას ჩაუჯდა, იასნაია პოლიანასაც ეწვია, რომ კარგად ჩასწვდომოდა ტოლსტოის სამყაროს, ცხოვრების სტილს.

შიმონ პერესი 2003 წელს ოლიმპიური კომიტეტის იმდროინდელი პრეზიდენტის — ბადრი პატარკაციშვილის მოწვევით საქართველოს ეწვია, მან დაუვიწყარი ლექცია წაიკითხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდანო, ეს ითქმის შიომონ პერესზე.

ბაბიი იარი — 75

შესრულდა 75 წელი მას შემდეგ, რაც გერმანელმა ფაშისტებმა კიევთან ახლოს — ბაბიი იარში 1941 წლის როშ ჰაშანის წინ ათასობით ებრაელი დახვრიტეს. ეს გახლდათ ნაწილი ფაშისტთა ბარბაროსული გეგმისა, რომელიც ებრაელთა მოსპობას ისახავდა მიზნად. ბაბიი იარის ტრაგედიის 75 წლისთავი უკრაინაში სახელმწიფო დონეზე აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით კიევში ჩავიდა ისრაელის პრეზიდენტი რეუვენ რივლინი. პრეზიდენტი გამოვიდა უკრაინის რადაში საპარლამენტო მოსმენაზე.

ტრაგიკული მოვლენის აღსანიშნავად კიევში ჩავიდნენ მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სასულიერო მოღვაწენი, სხვადასხვა სახელმწიფოთა სამთავრობო დელეგაციები.

რუსეთის ებრაელთა კონგრესის 20 წლისთავი

26 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა რუსეთის ებრაელთა კონგრესის 20 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო, საიუბილეო საღამოზე ათასზე მეტმა სტუმარმა — გამოჩენილმა სასულიერო პირებმა, პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ებრაულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, კულტურის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა (რეკ-ი) იური კანერმა ისაუბრა კონგრესის სახელოვან მოღვაწეობაზე. წაიკითხეს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის დიმიტრი მედვედევის, რუსეთის ფედერაციის დუმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომრის ვალენტინა მატვიენკოს მისალმება, სტუმრებმა ნახეს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს ვიდეომიმართვა.



დრამატურგის ახალი პრემიერა

თბილისის ალ. ახმეტელის სახ დრამატულ თეატრში გაიმართა გურამ ბათიაშვილის პიესის „რომა და ჯულია“-ს პრემიერა. პიესა ეძღვნება აფხაზეთში რუსეთ— საქართველოს ომის თემას. დრამატურგი აჩვენებს, თუ რაოდენ ტრაგიკულად წარიმართება ორი ახალგაზრდის ბედი, როცა აფხაზ გოგონას ქართველი ბიჭი შეუყვარდება—ტრაგიკული მოვლენები შექსპირის ყველაზე ცნობილი პიესის „რომეო და ჯულიეტას“ მსგავსად ვითარდება.

სპექტაკლი დადგეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი გოგიამ და ლაშა გოგნიაშვილმა, მხატვარია მარიკა კვაჭაძე, მუსიკალური გაფორმება—ირაკლი გოგიასი.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: გიორგი ცხადაძე, მაიკო ვაწაძე, თამარ ბეჟუაშვილი, გიგი მიგრიაული, მარინა ხარჩილავა, მზია ტალიაშვილი, ვასილ შიხაშვილი, ნელი ბადალაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, ვალერი ტორონჯაძე, სოფია სებისკვერაძე და ოთო ჩიქობავა.

მაყურებელმა ერთობ ემოციურად მიიღო შეყვარებული ახალგაზრდობის ტრაგიკული ბედი.

ნათან ბააზოვი



გარდაიცვალა პოეტი და მთარგმნელი ნათან ბააზოვი — გამოჩენილი პროზაიკოსისა და დრამატურგის — გერცელ ბააზოვის ერთადერთი შვილი. საქართველოს სახელმწიფო, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის სახ. რუსეთში ქართველთა კავშირის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

ნათან ნბააზოვი დაიბადა 1934 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1957-1960 წლებში მუშაობდა ატომური ენერგეტიკის ინსტიტუტში (დღევანდელი კურჩატოვის სახ. ინსტიტუტი) ამავე დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სექტორის ხელმძღვანელი.

ნათან ბააზოვი რუსულენოვანი პოეტი გახლდათ, ავტორი 18 წიგნისა. ქართული პოზიის წინაშე მისი დამსახურება გახლავთ ის, რომ რუსულ ენაზე თარგმნიდა ქართველ პოეტთა ნაწარმოებებს, სიცოცხლის ბოლო ათწლეულში შეადგინა „მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის რუსულენოვანი ანთოლოგია“, რომელშიც შესულია მის მიერვე თარგმნილი ქართველ პოეტთა ნაწარმოებები . ამ შრომამ ყურადღება დაიმსახურა და სახელმწიფო პრემიითაც კი აღინიშნა.

ნათან ბააზოვმა, როგორც დავით და გერცელ ბააზოვების მემკვიდრემ, შექმნა „ბააზოვ-ფონდი“, რომელიც თბილისის ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ბაზაზე მუშაობდა, ამ ბოლო ხანებამდე ითვლებოდა ამ ფონდის თანამშრომლად, ხშირად კითხულობდა ლექციებს ციური სხეულების საკითხებზე, ან ებრაულ სახლში იწვევდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს (უმთავრესად რუსულენოვანს) ლექციების წასაკითხად.

თბილისის ებრაელთა
კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

თბილისის ებრაელთა სათემო სახლი ღრმა მწუხარებით იუწყება პოეტისა და მთარგმნელის **ნათან ბააზოვის გარდაცვალებას** და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003